

დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა
„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ზურაბ ჯიბლაშვილი

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში მაქვს შემდეგი ხასიათის შენიშვნები და მოსაზრებები:

1) მსოფლიოში საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტის აღმოცენების დროს სახელმწიფოს დედაქალაქისაგან მისი მოშორებით განთავსების იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის ფიზიკურად დისტანცირებული ყოფილიყო სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან (პარლამენტი და მთავრობა). ეს არგუმენტი სუსტად არის წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებით ბარათის ა.ბ) პუნქტში (არა და, ასეთი გადაწყვეტილების სხვა რეალური და არსებითი არგუმენტი პრაქტიკულად არ არსებობს), მაგრამ თანამედროვე კომუნიკაციური სისტემების განვითარების ფონზე დედაქალაქისაგან საკონსტიტუციო სასამართლოს მოშორებით განთავსება უკვე დროში მოძველებული კონცეფციაა;

2) კანონპროექტის განმარტებით ბარათში კანონპროექტის მიღების მიზნად მითითებულია, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების როლის გაზრდას და მათ განვითარებას.

ეს არის ჩვეულებრივი სახელმწიფო ფუნქციის განხორციელებისათვის ამ ინსტიტუტის გამოყენების მცდელობა და არა რაიმე განსაზღვრული პოლიტიკა ამ სახელმწიფო ინსტიტუტის მიმართ (რაც სინამდვილეში უნდა განსაზღვრავდეს მის ადგილმდებარეობასაც). ჩვენის აზრით, ასეთი მიდგომა მცდარია, რადგანაც იგი გათვლილია სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევაზე, რაც ამ გზით პრაქტიკულად შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განთავსება ნებისმიერ რეგიონში, ამ ტერიტორიულ ერთეულს ვერ ჩართავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგანაც გადაწყვეტილებებს ტერიტორიული ერთეულები კი არა, სახელმწიფო ინსტიტუტები იღებენ მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა.

3) ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება წარმოშობს მთელ რიგ საკადრო პრობლემებსაც. აპარატის დღევანდელი მოხელეებისათვის ქ. ბათუმში სათანადო სოციალური პირობების შექმნის საკითხი არაა გადაწყვეტილი კანონპროექტში, მიუხედავად იმისა, რომ განმარტებით ბარათში კანონპროექტის ავტორები მიუთითებენ სასამართლოს ქ. ბათუმში განთავსების შემთხვევაში ამ ქალაქში მუდმივი საცხოვრებლის არ მქონე სასამართლოს თანამშრომელთა მიმართ კანონპროექტის მიღების შესაძლო ფინანსურ გავლენაზე. მაგრამ განმარტებით ბარათში გამოყენებული სიტყვა „შესაძლოა“, ნაკლებად ასახავს რეალობას. დარწმუნებული ვართ, რომ ეს გადაადგილება აუცილებლად მოახდენს გავლენას

სასამართლოს თანამშრომელთა მდგომარეობაზე. შესაბამისი სოციალური პირობებით უზრუნველყოფის გარეშე კი ალბათ დღეს მოქმედ მოხელეებს იძულებით მოუხდებათ სამსახურის დატოვება ვფიქრობთ, ქვეყანა საკადრო რესურსებით არაა იმდენად განებივრებული, რომ დღეს მოქმედ კადრებზე ასე ერთი ხელის აღებით უარის თქმა გამართლებული იყოს, რადგანაც სასამართლოს შექმნის დღიდან (საკადრო დინამიზმის პირობებში) დამკვიდრდა გამოცდილების გარკვეული მემკვიდრეობითობა. სასამართლოს სრულიად ახალი კადრებით დაკომპლექტების შემთხვევაში კი სეროზული შეფერხება მოხდება დაგროვილი პრაქტიკის რეალიზაციის მხრივ. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ დღეისათვის საჯარო სამსახურში ბოლომდე გაუმართავი საკადრო მართვის პირობებში ხშირად ბევრი საკითხი ადამიანის ინსტიტუციურ მენსიერებაზეა მიბმული. ეს არის კიდევ ერთი გარემოება, რაც განაპირობებს შესაძლო საკადრო პრობლემების წარმოქმნის (როგორც თანმდევი შედეგის) დიდ რისკს.

4) ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა რაც ამ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს შედეგად, ეს არის პროცესის გაძვირება მხარეთათვის; როგორც მოქალაქეთათვის (უპირატესად სწორედ მათ დააწვებათ ეს ტვირთი უფრო მეტად), ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებისათვისაც, რომლებიც მოპასუხეები იქნებიან. ეს გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდ ხარჯებს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს შესასრულებელი აქვს უამრავი (მათ შორის სოციალურიც) ვალდებულება. სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯების გაძვირება თავისთავად უარყოფითად იმოქმედებს ქვეყანაში კონსტიტუციური მართლწესრიგის დინამიურ პროცესზე;

5) უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნაა – კანონპროექტს დაერთოს „პროექტი სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა)...“ წარმოდგენილი კანონპროექტი ერთმნიშვნელოვნად იწვევს ცვლილებებს როგორც „2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (თავად პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, რომ „კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი“), ასევე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონებში. ვფიქრობთ, ამ ელემენტარული წესის არ დაცვა არაკორექტულია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ქ. ბათუმში გადატანა დაუშვებელია.